

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „კატერ ტექნოლოჯი“

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3-4
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	5-6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	7
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	8-16

შპს „ვატერ ტექნოლოჯი“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისათვის

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	235782	470249
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	681422	704355
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	185922	130562
<u>მარაგები</u>	-	<u>2177341</u>	<u>1782373</u>
მზა პროდუქცია		2173247	1775598
სხვა		4094	6775
სხვა მოკლევადიანი აქტივები		1	52179
სხვა არამატერიალური აქტივები	4	5234	5234
ძირითადი საშუალებები	4	101025	114126
სულ აქტივები		3386727	3259078
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		864	0
სავაჭრო ვალდებულებები		3188	15928
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		4482	20750
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		18629	69879

სხვა ვალდებულებები		498302	503754
სულ ვალდებულებები		525465	610311
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		50000	50000
საემისიო შემოსავალი			0
გამოსყიდული საკუთარი აქციები			0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2811262	2598767
გადაფასების რეზერვი			0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			0
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>	-	<u>2861262</u>	<u>2648767</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3386727	3259078

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს „ვატერ ტექნოლოჯი“

2022 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის

სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	შენიშვნე ბი	31/12/20 22	31/12/20 21
<u>ნეტო ამონაგები</u>	-	<u>2757575</u>	<u>2855501</u>
საქონლის გაყიდვიდან		2665570	2683359
მომსახურების გაწევიდან		92005	172142
გაყიდვების თვითღირებულება		-1639398	-1426814
საერთო მოგება		1118177	1428687
სხვა საოპერაციო შემოსავალი			6297
დასაქმებულთა ანაზღაურება		-389878	-404751
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-19488	-12915
საპროცენტო შემოსავალი		1069	1782
საპროცენტო ხარჯი		-6573	-9851
იჯარის ხარჯი		-53472	-53736
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-134845	-125684
<u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>	-	<u>-603187</u>	<u>-598858</u>
საოპერაციო მოგება		514990	829829
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		-5211	-1611
მიღებული დივიდენდები			0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		-129767	-33091
<u>მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან</u>	-	<u>380012</u>	<u>795127</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		-25128	-21559
<u>საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი</u>	-	<u>354884</u>	<u>773568</u>
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		354884	773568

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		2648767	1954146
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-142389	-78947
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-	<u>2861262</u>	<u>2648767</u>

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს „ვატერ ტექნოლოჯი“

2022 წლის 31 დეკემბრისათვის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	50,000.00	2,598,767	2,648,767
წმინდა მოგება		354884	
სხვა სრული შემოსავალი	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	2,953,651	2,953,651
გაცემული დივიდენდი	-	-142,389	-142,389
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	50,000.00	2,811,262	2,861,262

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვატერ ტექნოლოჯი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 2 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 400146855. კომპანია 2005 წლის 16 დეკემბრიდან რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ანდრონიკაშვილის II შეს., N 7.

- ფაქტიური მისამართი: თბილისი, გურამიშვილის გამზირი #154.
- შპს „ვატერ ტექნოლოჯი“ ეწევა საბითუმო და საცალო ვაჭრობას, დიდ წილად საცურაო აუზებისთვის განკუთვნილი სამშენებლო და მაკომპლექტებელი მასალების იმპორტს შემდგომი რეალიზაციის მიზნით.
- კომპანიის 35% -ის წილის მფლობელია ვასილ ხურცილავა, ხოლო 65%-ს მამუკა ზარნაძე. დირექტორი მამუკა ზარნაძე.
 - კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრისთვის შეადგენს 50000 ლარს.

კომპანიაში 2022 წლის 31 მდგომარეობით დასაქმებულია 14 გამოცდილი და კვალიფიციური თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს. კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2022 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2022 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2022 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

მიწა	უვალო
შენობა ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები	7
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3
კონტეინერი	15
სატრანსპორტო საშუალებები	7-10

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით.

აქტივების გადაფასება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

შენიშვნა1 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 1 იანვარი
ფული სალაროში	2,432	17,386
ფული საბანკო ანგარიშებზე	233,350	452,863
სულ ჯამი	235782	470249

შენიშვნა 2-საგაჭრო მოთხოვნები

ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 1 იანვარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	681422.23	704,355
სულ ჯამი	681,422	704,355

**შენიშვნა 3 სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი
სახსრები**

ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 1 იანვარი
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	185,922	130,562
სულ ჯამი	185,922	130,562

ვოთერ ტექნიკა		შენიშვნა 4 -ძირითადი საშუალებები																	
ინფორმაცია ძირითად საშუალებაზე		2022წ. პერიოდის საწყისი მონაცემები			პერიოდში განხორციელებული ცვლილებები												2022 წ. პერიოდის ბოლოს მონაცემები		
					შემოსავალი		გასავალი						ცვლილება						
შესყიდვა	გადახდა	რეალიზაცია	სხვა	გადახდა	გადახდა	გადახდა	გადახდა	გადახდა	გადახდა	გადახდა	გადახდა	გადახდა	გადახდა	გადახდა	გადახდა	გადახდა	გადახდა		
საბალანსო	დასახელება	დირექტორი	აკუმულაციური	ნარჩენი	რაოდენობა	დირექტორი	აკუმულაციური	ნარჩენი	რაოდენობა	დირექტორი	აკუმულაციური	ნარჩენი	რაოდენობა	დირექტორი	აკუმულაციური	ნარჩენი	რაოდენობა	დირექტორი	
2160	ოფისის აღჭურვილობა	572.46	203.05	369.41	0									202.5	572.46	405.55	166.91		
2161	დამხმარე პროფესიული მოწყობილობები	23527.32	14435	9092.3										2855	23527	17290	6237		
2162	კომპიუტერული აღჭურვილობა	15712.28	4206.7	11506	1581									3305	17293	7511.7	9781.1		
2163	ოფისის ელექტრო მოწყობილობები	4066.12	1918.9	2147.2	1450									1037	5516.1	2955.9	2560.2		
2170	ავტო და სხვა ინვენტარი	13552.2	3968	9584.3	3357									2946	16909	6914	9994.8		
2131	კონტეინერი	5135.59	1462.4	3673.2										342.4	5135.6	1804.8	3330.8		
2180	სატრანსპორტო საშუალებები	83802	6047.9	77754	0			0						8800	83802	14848	68954		
2690	სხვა არამატერიალური აქტივები	5,233.89		5233.9										0	5233.9	0	5233.9		
ჯამური მონაცემი		151601.9	32242	119360	0	6387	0	0	0	0	0	0	0	19488	0	157989	51730	106259	

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2023 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი